ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება (დიდი პალატა) Mediaprint v 'Österreich', Case C-540/08; ECLI:EU:C:2010:660:

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„34 [...] 2005/29 **დირექტივის დანართი I ადგენს 31 სახის კომერციული საქმიანობის ამომწურავ ჩამონათვალს,** რომლებიც, დირექტივის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უსამართლოდ მიიჩნევა **„ნებისმიერ შემთხვევაში".** შესაბამისად, როგორც 2005/29 დირექტივის პრეამბულის მე-17 პუნქტში პირდაპირაა მითითებული, **ეს კომერციული საქმიანობები თავისთავად შეიძლება იქნეს მიჩნეული [ნებისმიერ შემთხვევაში] უსამართლოდ დირექტივის მე-5-მე-9 მუხლების დებულებებთან მიმართებით თითოეული საქმის ინდივიდუალურად შეფასების გარეშე".**

„35 [...] უდავოა, რომ ის საქმიანობები, რომლებიც მომხმარებლებისთვის პროდუქციის ან მომსახურების შეძენასთან დაკავშირებული სარგებელის (ბონუსების) შეთავაზებას გულისხმობს, არ არის შეტანილი ამ დირექტივის დანართ I-ში. შესაბამისად, შეუძლებელია მათი აკრძალვა **ნებისმიერ შემთხვევაში, თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ინდივიდუალური შეფასების შემდეგ, რომელიც ასეთი საქმიანობების უსამართლობის დადგენის საშუალებას იძლევა."**

[…]

"37 [...] **ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც იმაზე უფრო შემზღუდველ ზომებს აწესებს, ვიდრე ეს 2005/29 დირექტივითაა გათვალისწინებული,** ეწინააღმდეგება ამ დირექტივის მე-4 მუხლის შინაარსს, რომელიც **ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს** პირდაპირ **უკრძალავს თავის ქვეყანაში უფრო შემზღუდველი ზომების შენარჩუნებას ან მიღებას მაშინაც კი, როდესაც ასეთი ზომები გამიზნულია მომხმარებელთა დაცვის უფრო მაღალი დონის უზრუნველსაყოფად."**

[...]

„43 როგორც ამ გადაწყვეტილების 35-ე პუნქტშია აღნიშნული, **თუ დირექტივის მოქმედების სფეროში მოქცეული კომერციული საქმიანობა ამ დირექტივის დანართ I-ში არ არის შეტანილი, ასეთი საქმიანობა შესაძლებელია უსამართლოდ და, ამდენად, აკრძალულად, ჩაითვალოს მხოლოდ მისი ინდივიდუალური შეფასების შემდეგ,** კერძოდ, დირექტივის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე."

მოკლე მიმოხილვა:

საგულისხმოა, რომ დირექტივის პრეამბულის მე-17 პუნქტის შესაბამისად, მის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს „... იმ კომერციული საქმიანობების იდენტიფიცირება, რომლებიც **ნებისმიერ შემთხვევაში უსამართლოდ არის მიჩნეული,** რათა უზრუნველყოფილი იყოს უფრო **მეტი სამართლებრივი განსაზღვრულობა".** დირექტივის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **დანართი I შეიცავს ყველა ასეთი საქმიანობის სრულ ჩამონათვალს.**

„... ესენია ის კომერციული საქმიანობები, რომლებიც თავისთავად არის შესაძლებელი, რომ **ნებისმიერ შემთხვევაში უსამართლოდ იქნეს მიჩნეული დირექტივის მე-5-მე-9 მუხლების დებულებებთან მიმართებით თითოეული საქმის ინდივიდუალურად შეფასების გარეშე.“** ამდენად, თუ კომერციული საქმიანობა არ არის შეტანილი დირექტივის I დანართში, მისი უსამართლო ხასიათი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, დირექტივის მე-5-მე-9 მუხლებში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

განსახილველ საქმეში საკითხი ეხებოდა მომხმარებლისთვის ისეთი საქონლის/მომსახურების **გასაყიდად შეთავაზების ზოგად აკრძალვას (ნებისმიერ შემთხვევაში უსამართლო კომერციულ საქმიანობად მიჩნევას),** რომელსაც თან ახლავს გარკვეული სარგებელი ან ბონუსი (გაყიდვები ბონუსით), როდესაც **ასეთი აკრძალვა მიმართულია არა მხოლოდ მომხმარებლის დაცვის, არამედ აგრეთვე სხვა მიზნების განხორციელებისკენ, როგორიცაა, მაგალითად, პრესის პლურალიზმის დაცვის უზრუნველყოფა და ყველაზე სუსტი კონკურენტების დაცვა.**

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXIX
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის დირექტივა 2005/29/EC შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ („დირექტივა არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ”);
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2005/29/EC მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი და დანართი I
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 27-ე მუხლის 1-ელი პუნქტი *(სარეგისტრაციო კოდი: 240110010.05.001.020542; 15/12/2023 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**ნებისმიერ შემთხვევაში უსამართლო კომერციული საქმიანობა**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2010 წლის 9 ნოემბრის სასამართლოს გადაწყვეტილება (დიდი პალატა), Mediaprint Zeitungs- und Zeitschriftenverlag GmbH & Co. KG v "Österreich"-Zeitungsverlag GmbH, Case C-540/08; ECLI:EU:C:2010:660*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.